# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 260. — კვირა, 10 ოქტომბერი 1904 წ. — გაზეთის № 2635.


## ნარო

### I

ნარო ფიქრებს მისცემოდა. ჩამავალ მზის სხივები ალმაცერად ეცემოდნენ ვეებერთელა მუხის ხეს, რომელიც მედიდურად დაჰყურებდა ამწვანებულ ეზოს. უზარმაზარი ტოტები დაბლა ხრიდა მწვანე ფოთლებით შემკულ შტოებს. ასე გეგონებოდა, ვეებერთელა კრუხს ფრთები გაუშლია, რომ თავისი წიწილები დაიფაროს სიცივისაგანაო. მხოლოდ ერთი ცელქი შუქი ატანდა მუხის ხშირ ტოტებში და ოქროს სვეტივით ეცემოდა ხის მსხვილ ძირებს. ამ ოქროს სვეტში ათასი მწერი ირეოდა, თითქოს იმალებოდნენ და ქრებოდნენ. სვეტი თან და თან უახლოვდებოდა ჩაფიქრებულ ნაროს, რომელიც მუხას ქვეშ იჯდა და ძველ „ნაკაბევს„ აკერებდა.

ნარო ნემსს უყრიდა საკერავში. ის სულ სხვა ფიქრებს მისცემოდა. ორი წელიწადია, რაც თავის ცხოვრებას სულ სხვა თვალით უყურებდა ნარო და ათასი ახალი აზრი, ერთი მეორეზე მწვავი და ბუნდოვანი, მოსვენებას არ აძლევდა. ყველაზე უფრო სტანჯავდა ის გარემოება, რომ, რაც დრო მიდიოდა, მისი კავშირი ოჯახთან, დედ-მამასთან და თავისიანებთან თან და თან ირღვეოდა. განსაკუთრებით მამა მისი და ის ვერ იყვნენ განწყობილნი: ყოველი სიტყვა, ყოველი აზრი, ნაროს მიერ წარმოთქმული, წინააღმდეგობას იწვევდა მამის მხრივ და ამისთვის ნარო უმეტეს ნაწილად გაჩუმებული იყო ხოლმე შინ.

„დედა, რა მემართება აი!—ხშირად გაუვლიდა ნაროს თავში,—რა ჩემი უბედურებაა, რომ უწინდულათ აღარ მიმაჩნია ნენაი და ბაბაი? რომ კი მეცოდებიან, რეიზა აღარ მიყვარს მანამდულა?“ დედა უფრო ებრალებოდა ნაროს, ვიდრე მამა. როდესაც მამა, ნაროს რომელსამე სიტყვის გაგონებაზე, აენთებოდა და დაუწყებდა ლანძღვას, შეშინებულის თვალებით შეჰყურებდა ხოლმე მამა-შვილს, უნებლიეთ გაჩერდებოდა მათ შორის და ამით უნდოდა უკმაყოფილო ლაპარაკი მოესპო. მაშინ უნდა გეყურებინათ თედორესათვის! ნაროს თავს მიანებებდა და საწყალ მართას მიადგებოდა ხოლმე:

— გადაავარე კალთაი ხო შენ ქალიშვილს! მაშვინ დეიქცა ჩემი ოჯახი, შენ რომ დაგიჯერე და მაგი ციცაი კლასში მივეცი, თლათ იმ კლასმა გარყვნა და გააფუჭა მაი. ვინ გეიგონა ციცაის სწავლა? სანამდი წამეიზდებოდა, ქე გავდა რაცხას და ახლა ჭადის გამოცხობა არ შეუძლია ხეირიანათ. ან და რა კაი უნდა გამოსულიყო კონდახაძის სახლის-შვილი: გეილვიძა ძარღვში შენმა და შენი ძმაი ნიკოლოზის სიხხლმა, იმ ქურდის და რაზბონიკის და იგია, ე! ღმერთი მაგას არ სწამს და ხატი; მაი დააქცევს ჩემს ოჯახს, რავაც დაქცეული კია იგი...

„წუხელისაც კი წამოსძახა ნენას ნიკოლოზის სისხლი,—ფიქრობდა ნარო:—რაფერ სხვა და სხვა ნაირი გამუა კაცი! უბედური ბიძა ჩემი, მე რომ მისი ამბავი გამიგონია, ნამდვი-



მონადირე — სურათი შმიცბერგისა.

ლი კაცი იყო, რომ უნდა იმისთანაი. საწყალ კაცს თუ პირიქით აძლევდა, თვარა აფერს წაართუმდა. გაჭივრებულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსების და იაპონელთა ცხენოსან რაზმების შეტაკება მანჯურიაში.

ყოლიფერში ეხმარებოდა და ყველაი ღარიბი პატივის-ცემით იხსენიებს მას. ვერ გუუძლო ქვეყნის და თავის გაჭივრებას და ქე გეიჭრა ფილარათ.“

მზის სხივების ოქროს სვეტი ნაროს თავს დაადგა, და ნაზი ფერებით გაანათა მისი ლამაზი პირისახე. შეყრილი წარბები და გაშტერებული დიდრონი თაფლის ფერი თვალები ამხელდნენ, რომ ახალგაზდა ქალი ფიქრს გაეტაცნა.

გუშინ სალამოს მაინც ნამეტანი უკმაყოფილება მოუვიდა ნაროს მამასთან. თედორეს სტუმარი ჰყავდა, იაკინთე დიაკვანი. იაკინთე მოხუცებული, ჭაღარა კაცი იყო. თედორე ძალიან პატივს სცემდა, ნაროს კი ჭირივით ეჯავრებოდა. იაკინთე ძალიან ეშმაკი და გესლიანი კაცი იყო. თუმცა ღვთის შიშსა და მოყვასის სიყვარულზე ლაპარაკი უყვარდა, ლოცვითაც ბევრს ლოცულობდა, მაგრამ მაინც ბოროტ კაცად მიაჩნდა იგი ნაროს და საფუძველიც ჰქონდა თავის აზრის გასამართლებელი. გუშინ სალამოს, როდესაც თედორესას იაკინთე შემოვიდა, ნარო უკან გავიდა და სტუმარს აღარ ეჩვენა. მამა გააბრაზა ქალის ამნაირმა საქციელმა და თავისებურის ლანძღვით მისდგა ნაროს. ლაპარაკში მართაც გაერია და გაიმართა ერთი ვაი-უშველებელი. გაბრაზებული თედორე სტუმარს აღარ მოერიდა და მასთანაც განაგრძო ცოლშვილის ლანძღვა. იაკინთე გესლიანად იცინოდა.

— მაგას გადავალიე ჩემი ოჯახი,—ჰყვიროდა თედორე: —რაცხა კლაშიც კი მყავდა, სხვაზე ნაკლები არ უნახავს და გუუგონია, მარა ზრდილობის მაინც აფერი მიეცხო მაგ ოჯახდაქცეულს. ნეტა მაინც თვალ-ტანათ არ ვარგოდეს მაი მიწა-გასახეთქი, მაშვინ ვიტყოდი, თავის გამოჩენა სცხვენია მეთქი! ქალი რომ დედ-მამის ურჩი გამუა, იმაზე უარესი აღარაა, ჩემო იაკინთე! რაც ქალს საყდარში სიარული არ ეყვარება, იი რაღა უნდა იყოს მითხარი, თუ ღმერთი გრწამს.

— ჭეშმარიტად, მართლდება მოციქულის სიტყვები,— ლაპარაკი გააწყვეტინა იაკინთემ:—მოიწივნენ თქვენდა დღენი ბოროტნი და კაცნი იყვნენ თავის მოყვარე და ვერცხლის მოყვარე უფროს, ვიდრე ღვთის მოყვარე. აქვნდეს ხატი ღვთის მსახურებისა და ძალსა მისსა უარ-ჰყოფდნენ.“ წინასწარ იტყვის წმინდა მოციქული, და აჰა ესე რა მოვალს და აწვე არს ჟამი, ოდეს მართლდებიან სიტყვანი მოციქულთა იმათ. სწორეთ მეორეთ მოსვლის ნიშნებია, ჩემო თედორე!

ბევრი ილაპარაკეს შემდეგ თედორემ და იაკინთემ. ორივე მწუხარებით შესჩიოდა ძველ დროს, როდესაც ხალხი გაურყვნელი და ღვთის მოშიში იყო. იაკინთეს წამდაუწუმ მოჰყავდა სამღვთო წერილიდან გაზეპირებული ადგილები თავის აზრების დასამტკიცებლად.

— სხვაი დროი იყო, ჩემო თედორე, სხვაი,—ამბობდა ის:—კაცი კაცურად სცხოვრობდა, ღმერთის და ბატონის ერთგული იყო, ღვდელი და სასულიერო პირები მიაჩთა; ახლა, მამავ და შვილო, ძაღლი პატრონს ვერ ცნობილობს, კაცი კაცს ვერ დალაპარიკებია შიშით! მოდი და ნუ შეგეშინება, იმისთანა რამეს წამოროშავს აი შენი ესიკაი და ივანიკაი რომაა, რომე, ღმერთო რა გავიგონე აგიი, იტყვი. უწინ, ჩემ დროში, თედორე, ამისთანა კაცებს უფრთხოდენ, სიახლოვეს არ გეიკარებდნენ, რაი და—ჩვენც არ მოგვეცხოს ჩირქიო, ამიზა რომე ახსოვდენ სამღვთო წერილის სიტყვები: „ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას.“ ბედნიერი ჟამი იყო, რაღა დროისაა!

შემდეგ კიდევ ნაროს დაუბრუნდნენ. თედორე რჩევას სთხოვდა იაკონთეს:

— რა მოუხერხო ამ ციცასო!

იაკინთემაც ურჩია:

— მაგი იმის ბრალია, ჩემო თედორე, რომ ქალი დამოწიფულდა, აწი ქმარი უნდა მაგას, ქმარი, დაიჯერე შე მამა-ცხონებულის შვილო! ერთი კაი საქმრო გამოურჩიე და გავათხოვოთ შენი ნარო—მორჩა და გათავდა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



იოანე მრისხანეს ოცნება მძინარე ცოლთან.—სურათი სედოვისა.

მზის სხივების ოქროს სვეტი ნელ-ნელა გაქრა. ახლა მზე ქვემოდან უშუქებდა მუხის ტოტებს და ნაროსაც თავით ფეხებამდე ანათებდა. ეს მისი უკანასკნელი გამოსალმება იყო დღეს ქვეყანასთან და ამისათვის რაღაც უცნაური, ნაზი, მოწითალო სხივებით ანათებდა არე-მარეს; ყველა საგანი გარკვეულად, მკაფიოდ მოსჩანდა ამ სინათლეში. ნარო კერვას დასთხოვოდა და უფრო გატაცებით ჩაფიქრებულიყო.

„აჰა ესე რა, მოვალს ჟამი და აწვე არს,“ აგონდებოდა ნაროს იაკინთეს სიტყვები. „აჰა ესე რა!“ შენმა სიცოცხლემ! „სწორედ მეორედ მოსვლის ნიშანია!“ ეგება შენდა და შენისანებიზაა მეორედ მოსვლის ნიშანი, ჩემდა კი არაა, ვიცი და! „დამოწიფულდა ქალი, ქმარი უნდაო.“ შენმა თავის ტეხამ, მე ქმარი მინდოდეს! „ამოურჩიე ერთი კაი საქმაროვო!“ ამუურჩიე... ვითომ საქმარო წუღა იყოს ან ცახოცი! იმის მეტი არ აგიდგა გვერდები, ქადაგავ, რაის მეტი მე ბაბამ ქმარი ვერ ამომირჩიოს!“ ნაროს თვალებში რაღაც ბოროტების ელვამ გაურბინა, ისეთმა, როგორსაც თედორე „რაზბონიკი ნიკოლოზაის ჩიმონათეს გამოხედვას“ უძახოდა.

„ბაბაის ამორჩეულ ქმარს წავყვე, რომ საწყალ ნენასავით ვირჩვე ჩემ სიცოცხლეში? გაჭირვებული და უენო მე სხვაიც მეზარება და მე უნდა შევიქნე პირუტყვი? ამდენ საწყალ კაცს და საწყალ ცხოვრებას რომ ვუყურებ, მე იმიზაც გული მიკვდება, თვარა მეც უნდა შევემატო იგინს? უსამართლოთ ნუ მომექცევიან, თვარა რავაია უსამართლობა, მე დავანახვეფ იგენს!“ იმავე ბოროტების გამომეტყველებამ გაურბინა ნაროს სახეზე.

მზე დიდებულად ჩაესვენა დასავლეთისაკენ. ცა თავის გარეშემო წითლად შეღება, თითონ კი ჩაყვინთა სადღაც. არემარეს ეხლა სხვა ელფერი გადაეკრა, საგნების გამოხატულება გაბუნდოვანდდა, თითქოს ყველაფერი უხილავ ბურუსში გაეხვიაო. მუხამ მოიწყინა და შავად გაჰყურებდა მიდამოს. ნარო, ძველი კაბა, რომელიც მუხლზედ ედო, მუხის ძირი, რომელზედაც იჯდა და თითონ მუხაც თითქო გაერთიანდნენ, ერთმანეთს შეეზარდნენ. მოისმა შორიდან დატვირთულ ურმის ჭრიალი...

— მმეეე!—დაიბღავლა ეზოში ძროხამ.

— მოო, ნენა! მოო, ძუძუა!—გასძახა ძროხას მართამ, ნაროს დედამ, და „საწველით“ ხელში გაეშურა იმისაკენ...

ნარო ფიქრს განაგრძობდა.

**შალვა შარაშიძე.**

(შემდეგი იქნება)

# სხვა და სხვა ამბები

**ომი და იაპონური სკოლა.** ეხლანდელმა ომმა დიდი გავლენა იქონია, სხვათა შორის, იაპონურ სკოლაზედაც. ომის მეოხებით მეცადინეობამ სკოლაში სხვა ხასიათი მიიღო. გიმნასტიკასთან ერთად ბავშვებს ეხლა სხვა და სხვა სამხედრო საქმეებსაცასწავლიან. ხშირად შეჰხვდება ეხლა კაცი იაპონიაში მთელ რაზმს მოსწავლეებისას, რომელნიც, მასწავლებლების წინამძღოლობით, თოფებით ხელში ცერემონიალის მარშით მიდიან. ხშირად სკოლაში ესა თუ ის სამხედრო ვარჯიშობა იმართება, ამასთან აჯილდოვებენ იმათ, ვინც ამ ვარჯიშობის დროს თავს ისახელებს. პატარა ქალებს ასწავლიან დაჭრილთა მოვლას. ქალებს აცმევენ მოწყალების დების ტანისამოსს და ოთახში ამწკრივებენ იმ დროს, როდესაც გარედ ეზოში აქა-იქ წვანან „დაჭრილი მეომრები“, ესე იგი მოსწავლე ბავშვები. პატარა ქალები „უფროს ექიმის“ ნიშანზე გარბიან გარედ და „მამაც მეომრებს“ ჭრილობებს უხვევენ. ჭრილობების შეხვევას ისე ასწავლიან, რომ მოსწავლე ქალები ამ საქმეში ფერშალს არ ჩამოუვარდებიან. იმ ქალს, ვინც ადრე შეუხვევს „ჭრილობას“ და

თავის ადგილზე დაბრუნდება, საჩუქარი ეძლევა. ასეთი მეცადინეობა და ვარჯიშობა ძალიან მოსწონს თურმე ახალგაზრდობას.

* * *

**სკოლა ტყეში.** ბერლინის მახლობლად, შარლოტენბურგში, დაუარსებიათ ახალ სისტემის სკოლა. ეს სკოლა გაშლილ ტყეშია, ცის ქვეშ. ბავშვები „სკოლაში“ მთელ დღეს ატარებენ, დილიდან საღამომდე; მეცადინეობენ მხოლოდ 2—$2^1/_2$ საათს, დანარჩენ დროს ისვენებენ ან თამაშობენ მასწავლებელ ქალთა და კაცთა ხელმძღვანელობით. კარგ ამინდში თამაშობა, რა თქმა უნდა, გარედ იმართება, ცუდ ამინდში—განსაკუთრებულად მოწყობილ ტერასაზე. ბავშვებს კარგად უვლიან და პურსაც დღეში ხუთჯერ აჭმევენ. ღარიბი ბავშვები არაფერს არ იხდიან, ხოლო შეძლებულნი დღეში აძლევენ 50 ფენინგს. სკოლა პირველად ამ ზაფხულს გაიმართა და ისეთი კარგი გავლენა იქონია ბავშვებზე, რომ გადასწყვიტეს ამგვარად სწავლება, ცის ქვეშ ტყეში, ზამთარშიაც განაგრძონ.

* * *

**წერა-კითხვის არ მცოდნე სალდათები.** ბელგიურ გაზეთებში საყურადღებო სტატისტიკაა დაბეჭდილი ჯარში ახლად გაწვეულთაგან წერა-კითხვის არ მცოდნეთა შესახებ. როგორც ამ სტატისტიკიდანა სჩანს, 1000 კაცში წერა-კითხვა არ იცის:

| | | |
|---|---|---|
| გერმანიაში . . . | 1 | კაცმა |
| შვეციაში . . . . | 1 | „ |
| დანიაში . . . . | 2 | „ |
| შვეიცარიაში . . . | 20 | „ |
| ჰოლანდიაში . . . | 23 | „ |
| ინგლისში. . . . | 37 | „ |
| საფრანგეთში . . . | 47 | „ |
| ბელგიაში. . . | 101 | „ |
| იტალიაში. . . | 329 | „ |
| ავსტრ-ჰუნგრეთში. | 351 | „ |
| რუსეთში . . . | 617 | „ |

* * *

**მდუმარეთის კლუბი.** ინგლისელ მანდილოსანს, ჰერცოგის ლიდსის მეუღლეს, განუზრახავს ახალის კლუბის დაარსება. კლუბი არსდება ლონდონში და წევრებად მარტო ქალები უნდა იყვნენ. კლუბის წევრებმა მიღების დროს აღთქმა უნდა დასდონ მდუმარებისა, ესე იგი ბევრი ლაპარაკი აღკვეთონ. სწორედ კარგი აზრი მოსვლია ჰერცოგის მეუღლეს, და ურიგო არ იქნება, იმის მაგალითს ჩვენებურმა ქალებმაც მიჰბაძონ...




საკომერციო სასწავლებლის მოსწავლე თავის ბარგით.




გოლოვინის პროსპექტის მეჯაჯღნელთა ტირილი სკამების აღების გამო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი